

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N9ზ საცხოვრებელი სახლის  
N62 ბინაზე, მოქალაქე ლილი მაგანისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარეზავას ქუჩა N9ზ/62 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლილი მაგანის განცხადებები /2014 წლის 19.02 №1060, 04.03 №1381/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N9ზ საცხოვრებელი სახლის N62 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N9ზ საცხოვრებელი სახლის N62 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლილი მაგანის /პირადი N60001135247/.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის კონცხის მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N9ზ საცხოვრებელი სახლის N62 ბინაზე, საერთო ფართობი 42,40 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 26,30 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,46 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 3,64 კვ.მ./ მოქალაქე ლილი მაგანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია